სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 ივნისი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/85

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსებთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N7, N8, N9 გადაწყვეტილებების, „ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 მარტის N01-02/74 ბრძანების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის", „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 მაისის №01-02/63 ბრძანების,** „2024 წლის ივნისში ჩატარებული ბსუ-ში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების **(განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების შესახებ"** ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 11 ივნისის N01-04/88 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსებთან დასადები შრომითი ხელშეკრულების თანდართული ფორმა (**დანართი** 1).
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსებთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ივნისის N01-02/90 ბრძანება.**
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის
12 ივნისის N01-02/85 ბრძანების
დანართი 1

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------
რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"/„უნივერსიტეტი"/„**დამსაქმებელი**"), წარმოდგენილი რექტორის- ---------- მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ——————— ——————— (შემდეგში „**დასაქმებული**") დებენ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის -- ------- ---------- **ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - ---------- **განყოფილების** **უფროსის** თანამდებობაზე დასაქმებულთან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის (სამეცნიერო საქმიანობის) რეგულაცია.

1.2. დასაქმებულის სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს ბსუ-ს წესდებით, „ბსუ-ს *სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით*" და ბსუ-ს შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით, *სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესით, ბსუ-ს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობების შესრულებას.*

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. **დასაქმებული** აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის **გაცნობილია** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს შინაგანაწესს (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, ბსუ-ს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებას, ბსუ-ში სამეცნიერო საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge და **იღებს ვალდებულებას:**

ა) **სამეცნიერო/შრომითი** საქმიანობა წარმართოს/სამუშაო შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ბსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრულ **სამუშაო დღეებში და საათებში** და **წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების შესაბამისად** (ბსუ-ს წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ბსუ-ს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება, საქმისწარმოების ინსტრუქცია, **სამეცნიერო** პერსონალის შეფასების წესი, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/შესაბამისი განყოფილების სამეცნიერო საქმიანობის გეგმა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები);

ბ) სამეცნიერო-კვლევით პროცესში გამოიყენოს ბსუ-ში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები;

გ) გაუფრთხილდეს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნება; არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დამსაქმებლის მუშაობას ან მიაყენებს მატერიალურ ზარალს;

დ) ყოველწლიურად, ასევე შესაბამისი მართვის ორგანოს/სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოთხოვნისამებრ, წარადგინოს ინსტიტუტის/განყოფილების სამუშაო გეგმით და საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესრულებული სამუშაოს/სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში;

ე) რეგულარულად გაეცნოს ბსუ-ს წესდებაში, შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, სამეცნიერო პერსონალის შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების ან სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე, ასევე განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილებით.

2.2. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა, მათ შორის ისარგებლოს დასვენების უფლებით და მიიღოს შრომის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალის საშტატო განრიგისა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების წესის შესაბამისად;

ბ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

გ) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას; დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში, როგორც საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულმა სპეციალისტმა/მასწავლებელმა ან კონკურსის წესით დაიკავოს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა; ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

ვ) ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული ხანგრძლივობით და წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) მიიღოს ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი წესით;

თ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებებით.

2.3. **დამსაქმებელი ვალდებულია:**

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად დასაქმებულს შეუქმნას შესაბამისი პირობები და უზრუნველყოს მისი შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

ბ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში და უზრუნველყოს დასაქმებულის აკადემიური თავისუფლება, რათა ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
დ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა ან/და სხვა აქტების შესაბამისად;
ე) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებებით.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) **დასაქმებულის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსის,** შინაგანაწესის, ამ შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნების და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გააჭაროს საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
ბ) დაამუშაოს/გამოითხოვოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული საჭიროების და დამსაქმებლის თანხმობის გათვალისწინებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის საშტატო ნუსხის (განრიგის) შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ოდენობით. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ----------თანამდებობაზე დასაქმებულის თანამდებობრივი სარგო (ხელფასი) შეადგენს ----- ლარს.
3.2. **თანამდებობრივ სარგო (ხელფასი) დასაქმებულზე გაიცემა მის მიერ** დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის და შრომითი დატვირთვის კატეგორიის (შეთავსებითი სამუშაოს) გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესისა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.
3.3. დასაქმებულის შრომითი დატვირთვის (კატეგორიის) შეცვლა ან/და ბსუ-ს სამეცნიერო **პერსონალის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ცვლილება არ გამოიწვევს** წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას (ცვლილებების შესახებ სამართლებრივი აქტები დასაქმებულს ეცნობება კანონმდებლობით დადგენილი წესით).
3.3. დასაქმებულის მიერ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე შესრულებული საათობრივი სამუშაო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექვემდებარება ანაზღაურებას ,,აფილირების წესისა" და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილი შრომის ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) შესაბამისად, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული (ტარიფის ცვლილების შემთხვევაში ეცნობება დასაქმებულს, მაგრამ არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას).
3.4. დასაქმებულისათვის თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) და საათობრივი შრომის ანაზღაურების გარდა, წახალისების ღონისძიების სახით პრემიის, ფულადი ჯილდოს ან პროფესიული განვითარებისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა, რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია -------- წლის ---------- და მოქმედებს **5 წლის ვადით** --------- ---------- მდე.
4.2. ხელშეკრულების **ვადაზე ადრე შეწყვეტის** საფუძვლებია:

ა) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე);
ბ) დასაქმებულის ხანგრძლივი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული შვებულება;
გ) დასაქმებულის გარდაცვალება;
დ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა;
ე) დასაქმებულის მიერ ბსუ-ს ეთიკის კოდექსის ან/და შინაგანაწესის ნორმების უხეში დარღვევა;
ვ) დასაქმებულის მიერ მისთვის წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ მის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;
ზ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
თ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ან/და ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული აცხადებს თანხმობას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ' საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები ბსუ-სთან შრომითი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.
5.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხოლო მეორე გადაეცემა - დასაქმებულს.
5.4. მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:

„დამსაქმებელი"	„დასაქმებული"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი -
ადმინისტრაციის მისამართი:	პირადი ნომერი -
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32	რეგისტრ. მის.: ----------
	ფაქტ.საცხ.ადგ: ----------
	ელექტ. ფოსტ. მისამარ. ----------
უნივერსიტეტის რექტორი	მობილური ----------
	საბანკო რეკვიზიტი: ----------
---	---
(ხელმოწერა)	(დასაქმებულის ხელმოწერა)